„ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“ პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში 12-18 წლის მოზარდებისათვის მანავის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე ახორციელებს „სპორტულ-შემეცნებით საზაფხულო ბანაკს“.

მოზარდთათვის საგანგებოდ შედგენილი პროგრამა 7 თემატური დღისგან შედგება და მოიცავს შემეცნებით-საგანმანათლებლო, სპორტულ, კულტურულ და შემოქმედებით აქტივობებს. ბანაკის ყოველი სამუშაო დღე კონკრეტული ტიპის სააღმზრდელო საქმიანობას ითვალისწინებს:

I დღე -გაცნობა /დამეგობრების დღე;

II დღე-ოლიმპიადის დღე;

III დღე-ტოლერანტობის დღე;

IV დღე-სამოქალაქო საზოგადოების დღე/ თავდაცვის დღე;

V დღე- ინტელექტის დღე;

VI დღე- საქართველოს დღე;

VII დღე- დამშვიდობება.

შეკითხვები და აზრთა სხვადასხვაობა საბანაკე პროგრამის მესამე დღის განხორციელებასთან დაკავშირებით გაჩნდა. ამიტომ დაწვრილებით გაგაცნობთ მესამე დღის განრიგს:

- **დილის ხაზი** ყოველი დილის ხაზი გასხვავდება ერთმანეთისგან დღის თემატიკიდან გამომდინარე და გულისხმობს კონკრეტული დღის განრიგის გაცნობას მონაწილეებისათვის.
- **გუნდის პირველი დრო- „ევრორელსები“** არის გუნდური თამაში, რომლის მიზანია მონაწილეებში ტოლერანტობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.
- **გუნდის მეორე დრო** - პერიოდი, როდესაც ჯგუფები ლიდერებთან ერთად იწყებენ მომზადებას საღამოს ღონისძიებისათვის.
- **გუნდის მესამე დრო** - პერიოდი, როდესაც ჯგუფები ლიდერებთან ერთად ასრულებენ მომზადებას საღამოს ღონისძიებისათვის.
- **საერთო საბანაკე თამაში გემობანა/ ხილი** - საერთო საბანაკე აქტივობა, სადაც ჩართულია ყველა მონაწილე.

გუნდის პირველი დრო ეთმობა მოდულებს, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს თანასწორი ტოლერანტული და სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას. მოდულები შედგენილი და შეთანხმებულია ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრსა და გაეროს მოსახლეობის განვითარების ფონდს შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე. სატრენინგო დრო (40 წუთი) ეთმობა გაეროს მოსახლეობის განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს, რომელიც მოზარდებში ტოლერანტობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

ა.წ. 19 აგვისტოს მანავის მომავლის ბანაკის ხელმძღვანელებს, 21 აგვისტოს კი ცენტრის მენეჯმენტს ბატონმა გურამ ფალავანდიშვილმა თანმხლებ პირებთან ერთად წარუდგინა მოქალაქე ბადრი დავითურის განცხადება, რომელშიც განმცხადებელი ითხოვს რეაგირებას მანავის ბანაკში ჩატარებული ტრენინგის თემატიკასთან დაკავშირებით.

ა.წ. 23 აგვისტოს ცენტრში მოვიწვიეთ გაეროს მოსახლეობის განვითარების ფონდის წარმომადგენელი ქალბატონი მარიამ ხოჭოლავა, რომელსაც რეაგირებისათვის გადავეცით ზემოთ აღნიშნული განცხადება. მას ეთხოვა, შეესწავლა არსებული ვითარება და ცენტრში წარმოედგინა სიტუაციის ანალიზი. მასვე განემარტა, რომ სიტუაციის შესწავლისა და შეფასების მსვლელობაში დროებით შეჩერდებოდა ტრენინგების ჩატარება.

ამ ეტაპზე ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს საბანაკე პროგრამას.

პატივისცემით,

ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი
ეკა კალაძე“- ნათქვამია განცხადებაში.